ა) ლაშა საღინაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) გიორგი შამათავა - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე - კომისიის წევრი;

გ) კახა ჭეიშვილი - რექტორის მოადგილე - კომისიის წევრი;

დ) გოჩა ჯანელიძე - პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსი - კომისიის წევრი;

ე) თორნიკე ცინაძე - კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;

ვ) თამარ დიაკვნიშვილი - პერსონალის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - კომისიის მდივანი;

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრულ კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სპორტის განყოფილების უფროსის შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება
წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრულ კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სპორტის განყოფილების უფროსის შერჩევა.
მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები
საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:
ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრულ კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სპორტის განყოფილების უფროსის კანდიდატის შერჩევა.
ბ) კომისიას მუშაობისას საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტების მოწვევა.
მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი
ა) კომისია დაუსწრებლად აფასებს კონკურსანტის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სპორტის განყოფილების უფროსის თანამდებობრივ მოთხოვნებთან. აპლიკანტები, ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც სრულყოფილი იქნება და დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლიან გასაუბრებას.
ბ) აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.
გ) საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია კონკურსის შედეგებს ურთიერთშეაჯერებს, აფასებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას, რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში (გასაუბრების ჩატარების შემთხვევაში, შეფასება ასევე უნდა ემყარებოდეს გასაუბრების შედეგებს).
დ) შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სპორტის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე შერჩეულად ჩაითვლება ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.
ე) კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზეც შერჩეულ კანდიდატთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;
მუხლი 4. დავების გადაწყვეტა
კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.